საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №545

2003 წლის 29 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ხაშხაშის თესლის იმპორტისა და რეალიზაციის აღკვეთის შესახებ

ნარკომანიისა და ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მიმოქცევის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მძიმე სენის დამარცხება საზოგადოების ჯანმრთელობისა და მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდის უმთავრესი წინაპირობაა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სამართლებრივი ბაზის შექმნის თვალსაზრისით ხელისუფლებამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა, მაგრამ საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ არასრულყოფილია. ამასთანავე, საკითხის მოგვარებას მნიშვნელოვანწილად აფერხებს ქვეყანაში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ნარკომანია კი საკმაოდ სწრაფად ვრცელდება საქართველოს მოზარდებში.

დღეს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალ რეალიზაციაშია ხაშხაშის (ყაყაჩოს – Papaver somniferum) თესლი, რომელიც მოიხმარება როგორც საკვები პროდუქტი და შეუზღუდავად იყიდება სავაჭრო დაწესებულებებსა და ბაზრობებზე.

საკონდიტრო ნაწარმისათვის გამოსაყენებელი ხაშხაშის თესლი საკმარისი რაოდენობით შეიცავს ნარკოტიკული ნივთიერების – ოპიუმის ალკოლოიდებს, რის გამოც იგი ფართოდ მოიხმარება მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.

იმის გამო, რომ ხაშხაშის თესლი არ არის შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ნუსხაში, სამართალდაცვის ორგანოებს საშუალება არა აქვთ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი.

შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით და დროებითი ღონისძიების განხორციელების მიზნით:

1. აიკრძალოს ნებისმიერი მიზნით (მათ შორის, საკონდიტრო ნაწარმში გამოსაყენებლად) ქვეყნის ტერიტორიაზე ხაშხაშის (ყაყაჩო – Papaver somniferum) თესლის იმპორტი და რეალიზაცია.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. ნარჩემაშვილი) და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ (ვ. ხაბურძანია) ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტთან (დ. თარხან-მოურავი) და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან (გ. გაჩეჩილაძე) ერთად თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყონ სათანადო ღონისძიებათა განხორციელება ხაშხაშის თესლის იმპორტისა და რეალიზაციის აღკვეთის მიზნით.

3. ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ე. შევარდნაძე